


აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

თამაზ გამყრელიძე



წერის ანბანური სისტემა  
და  
ძველი ქართული  
დაწერლობა


ანბანური წერის  
ტიპოლოგია და წარმოშობა

აკად. შანიძის †  
რედაქციის და წინასიტყვაობის

ივანე ჯავახიშვილის სახ.  
თბილისის უნივერსიტეტის  
გ ა მ ც ე მ ლ ო ბ ა  
თბილისი \* 1990

ИНСТИТУТ ВОСТОКОВЕДЕНИЯ ИМ. АКАД. Г. В. ЦЕРТЕЛИ

Т. В. ГАМКРЕЛИДЗЕ



АЛФАВИТНОЕ ПИСЬМО  
и  
ДРЕВНЕГРУЗИНСКАЯ  
ПИСЬМЕННОСТЬ

Типология и происхождение  
Алфавитных систем  
Письма

Под редакцией и с предисловием  
А. Г. ШАНИДЗЕ †

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА  
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ  
ТБИЛИСИ \* 1990

თამაზ გაგუჩელიძე

# წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა

ანბანური წერის  
ტიპოლოგია და წარმოშობა

აკაკი შანიძის †  
რედაქციითა და წინასიტყვაობით

ივანე ჯავახიშვილის სახ.  
თბილისის უნივერსიტეტის  
გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა  
თბილისი \* 1990

ACADEMY OF SCIENCES, GEORGIA

---

TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

ALPHABETIC WRITING  
AND  
THE OLD GEORGIAN SCRIPT

A TYPOLOGY AND PROVENIENCE  
OF  
ALPHABETIC WRITING SYSTEMS

*BY*  
THOMAS V. GAMKRELIDZE

WITH A PREFACE  
*By*  
AKAKI SHANIDZE †

PUBLISHING HOUSE  
OF THE DJAVAKHISHVILI STATE UNIVERSITY  
**TBILISI \* 1990**

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ИНСТИТУТ ВОСТОКОВЕДЕНИЯ ИМ. АКАД. Г. В. ЦЕРЕТЕЛИ

Т. В. ГАМКРЕЛИДЗЕ

АЛФАВИТНОЕ ПИСЬМО  
И  
ДРЕВНЕГРУЗИНСКАЯ  
ПИСЬМЕННОСТЬ

ТИПОЛОГИЯ И ПРОИСХОЖДЕНИЕ  
АЛФАВИТНЫХ СИСТЕМ ПИСЬМА

ПОД РЕДАКЦИЕЙ И С ПРЕДИСЛОВИЕМ  
А. Г. ШАНИДЗЕ †

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА  
ИМ. И.А.ДЖАВАХИШВИЛИ  
ТБИЛИСИ \* 1990

**წიგნში** განხილულია წერის ტიპოლოგიისა და „ანბანური“ დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების საკითხები.

წერის სტრუქტურასა და ტიპოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემათა შესწავლისას თანამედროვე მეცნიერებაში წერილობით სისტემათა შესახებ, ანუ „დამწერლობათმცოდნეობაში“ ან „გრამატოლოგიაში“, რომელიც დამწერლობას განიხილავს საზოგადოდ როგორც სემიოტიკურ (ანუ ნიშანთა) სისტემას, საჭიროა შემოვიდოთ ისეთი სტრუქტურულ-ენათმეცნიერული ცნებები, როგორიცაა წერილობითი სისტემის „პარადიგმატიკა“ და „სინტაგმატიკა“ და სისტემის „შინაარსისა“ და „გამოხატულების პლანი“.

ეს ცნებები ძირეულია წერითი სისტემის სტრუქტურისა და ტიპოლოგიის, ასევე მისი წარმომავლობა-განვითარების ანალიზისათვის. ამასთანავე ამგვარი ანალიზი უნდა ემყარებოდეს არა „გამოხატულების პლანის“ გარეგანი გამოვლინებების განხილვას, როგორიცაა, მაგალითად, ცალკეულ წერით სიმბოლოთა ფორმა და მოხაზულობა, როგორც ეს ტრადიციულ „პალეოგრაფიაში“ ხდებოდა, არამედ „შინაარსის პლანის“ უფრო არსებით შინაგან სტრუქტურულ მონაცემებს, როგორიცაა წერის პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა, აგრეთვე მათი გარდაქმნის კანონზომიერებანი დროსა და სივრცეში.

ნაშრომში სპეციალური განხილვის საგანია ძველი ქართული ანბანური დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების საკითხები და მოცემულია მისი წერილობითი წყაროს დადგენის ცდა.

თანმიმდევრულად „ანბანური“ წერის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს კლასი-

კური ბერძნული დამწერლობა, რომელიც წარმოიშვა ძველი სემიტური „კონსონანტურ-სილაბური“ წერისაგან. ძველი სემიტური, ძველი ბერძნული და ძველი ქართული წერილობითი სისტემების ერთმანეთთან სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შეპირისპირება ავლენს ქართული დამწერლობის დამოკიდებულებას ძველ ბერძნულ და არა ძველ სემიტურ სისტემაზე, რომელსაც ჩვეულებრივ უკავშირებდნენ ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობას. სწორედ ბერძნული წერითი სისტემა იყო გამოყენებული როგორც წერითი პროტოტიპი ძველი ქართული დამწერლობის შესაქმნელად.

ქართული „ასომთავრულის“ შედარება სხვა წერით სისტემებთან, რომლებიც ასევე ძველ ბერძნულ წერილობით პროტოტიპს ემყარება (ისეთ სისტემებთან, როგორიცაა კოპტური, გოთური, ძველი სომხური და ძველი სლავური), ავლენს ძველი ქართული წერის სტრუქტურულ მახასიათებლებს და არკვევს მის ტიპოლოგიურ ადგილს ადრექრისტიანული ხანის ამ დამწერლობათა შორის, რომლებიც შეიქმნა აღმოსავლურ-ქრისტიანულ კულტურულ სამყაროში როგორც ორიგინალური ეროვნული დამწერლობანი.

გრამატოლოგიის თეორიულ საკითხთა განხილვა სხვადასხვა სტრუქტურის წერილობით სისტემათა ფართო მოხმობით და მათი სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი, ნაშრომში წარმოდგენილი პრობლემები წერის წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება ფილოლოგებისა და კულტურის ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრისათვის, ვინც დაინტერესებულია წერის თეორიისა და ისტორიის საკითხებით.

**РАБОТА** посвящена рассмотрению теоретических проблем типологии письма и зарождения и развития алфавитной системы письменности из предшествовавшей ей смешанной системы „консонантно - силлабического“ типа, которую представляла старосемитская линейная письменность.

При анализе проблем структуры и типологии письма в современную „науку о письме“, или „грамматологию“, рассматривающую письменность как семиотическую, знаковую систему, следует ввести такие заимствованные из лингвистики понятия, как „парадигматика“ и „синтагматика“ письма, а также „план содержания“ и „план выражения“ письменной системы.

Эти понятия должны стать основополагающими как при анализе структуры и типологии письма, так и проблем его возникновения и развития. При этом вопросы структуры и типологии письма, а также проблемы происхождения и исторических взаимоотношений письменных систем следует решать не на основе чисто внешних проявлений „плана выражения“ системы, каковыми являются начертания отдельных знаков письменных систем, как это делалось в традиционной „палеографии“, а на базе более существенных внутренних факторов „плана содержания“ системы, таких как парадигматика и синтагматика письма, а также закономерности их преобразований в пространстве и времени. В работе специально разбираются проблемы происхождения древнегрузинской (иберийской) системы письма и определения ее источников. Анализ древнегрузинской письменной системы проводится на широком типологическом фоне различных систем алфавитной письменности, с привлечением старосемит-

ской (финикийской) и греческой систем письма, а также и других письменностей, происшедших из этих последних.

Древнейшей системой последовательно алфавитного письма считается греческая письменность, происшедшая из старосемитского „консонантно-силлабического“ письма.

Сопоставительный анализ старосемитской, древнегреческой и древнегрузинской систем письма выявляет зависимость древнегрузинской системы от греческой (а не старосемитской системы письма, с которой обычно связывали древнегрузинскую письменность), что объясняется использованием греческой системы в качестве письменного образца при создании древнегрузинской парадигматики письма.

Сравнение древнегрузинской письменности с алфавитными письменными системами, восходящими к греческому письменному прототипу, такими, как коптская, готская, древнеармянская и старославянская, выявляет внутренние структурные особенности древнегрузинского алфавита и определяет его типологическое место среди этих систем раннехристианской эпохи, созданных как оригинальные национальные письменности восточнохристианского культурного мира.

Рассмотрение теоретических проблем грамматологии, привлечение письменных систем различного типа и их структурно - типологический анализ, затрагиваемые в работе вопросы зарождения и развития письма делают ее интересной для филологов и историков культуры, а также для широкого круга читателей, интересующихся вопросами теории и истории письма [см. стр. 207 и след.].

## ახტორის აზარი

წინამდებარე ნაშრომი უკვე გამზადებული იყო დასაბეჭდად 1976 წლისათვის, როდესაც მას რედაქცია გაუწია და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ. იგი ეძღვნებოდა ქართული დამწერლობათმცოდნეობისა და საზოგადოდ მთელი ახალი ქართული მუხანიტარული მეცნიერების დამფუძნებლის — დიდი ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს, რომელიც იმხანად აღინიშნებოდა. მაგრამ სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო წიგნის გამოქვეყნება ძლიერ დაყოვნდა და მისი გამოცემა ვერ მოხერხდა აღნიშნული თარიღისათვის.

ამჟამად ჩვენ ქართული მეცნიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღის წინაშე ვდგავართ: მიმდინარე წლის შემოდგომაზე აღინიშნება ქართული უნივერსიტეტის დაარსების 70-ე წლისთავი. მე მინდა ეს წიგნი ივანე ჯავახიშვილთან ერთად ამ ღირსშესანიშნავ თარიღსაც ვუძღვნა.

ამ ორ თარიღს შორის არსებული დრო ერთ ათწლეულზე მეტით განიზომება, რამაც საჭირო გახდა წიგნში გარკვეული დამატებები შეგვეტანა, ძირითადად ბიბლიოგრაფიული ხასიათისა, რომლებიც ასახავენ ამ პერიოდში გამოსულ ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო ნაშრომებს, მიძღვნილს სხვადასხვა წერით სისტემათა და, კერძოდ, ქართული დამწერლობის სტრუქტურის, წარმოშობისა და განვითარების საკითხებისადმი.

მ. ბაქრაძე

თბილისი, სექტემბერი, 1988 წ.

P. S. წიგნის მეორე გამოშვებაში შესწორებულია შემჩნეული უზუსტობანი და დამატებულია ზოგი განმარტება და ტაბულა.

მ. ბ.

თბილისი, ოქტომბერი, 1990 წ.

შემოკლებათა სია  
СПИСОК СОКРАЩЕНИЙ

ენები და დიალექტები

არაბ. = არაბული  
არამ. = არამეული  
ბერძნ. = ბერძნული  
გერმან. = გერმანული  
გოთ. = გოთური  
დორ. = დორიული  
ებრ. = ებრაული  
ეგვ. = ეგვიპტური  
ეთიოპ. = ეთიოპური  
ინდ. = ინდური  
კოპტ. = კოპტური  
ლათ. = ლათინური  
მოაბ. = მოაბური  
ნაბატ. = ნაბატეური  
პალმ. = პალმირული

არმ. = армянский  
архaic. греч. = архаический  
греческий  
გოტ. = готский  
გრეჩ. = греческий  
გრუზ. = грузинский

პუნ. = პუნური  
რუნ. = რუნული (დამწერლობა)  
სამხრ.-არაბ. = სამხრეთ-არაბული  
სემ. = სემიტური  
სირ. = სირიული  
სლავ. = სლავური  
სომხ. = სომხური  
ს.-სემ. = საერთო-სემიტური  
ს.-ქართ. = საერთო-ქართველური  
უგარ. = უგარიტული  
ფინ. = ფინიკიური  
ქან. = ქანაანური  
ქართ. = ქართული  
ჩრდ.-სემ. = ჩრდილო-სემიტური

ძრ.-ევრ. = древнееврейский  
კოტ. = коптский  
სემ. = семитский  
სირ. = сирийский  
სტ.-სემ. = старосемитский  
სტ.-სლავ. = старославянский



# შ ი ბ ა კ რ ს ი

## Содержание

|                            |    |
|----------------------------|----|
| ავტორისაგან                | 9  |
| შემოკლებათა სია            |    |
| <i>СПИСОК СОКРАЩЕНИЙ</i>   | 10 |
| წინასიტყვაობა (აკ. შანიძე) | 15 |
| შესავალი                   | 23 |

### თ ა ვ ი I. კველი სემიტური კონსონანტურ-სილაბური დამწერლობა

|   |    |
|---|----|
| 1. ძველი სემიტური ასოთდამწერლობა როგორც კონსონანტური წერის უძველესი ნიმუში              | 24 |
| 2. ძველი ფინიკიური დამწერლობა და დასავლურ-სემიტური ენები                                | 28 |
| 3. ძველი სემიტური წერის ქანაანური შტო   | 36 |
| 4. ძველი სემიტური წერის არამეული განშტოება  | 36 |
| 5. ძველი სემიტური დამწერლობის ნიშანთსახელები  | 39 |
| 6. ძველი სემიტური დამწერლობის ნიშანთრიგი. წერითი სისტემის პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა | 42 |
| 7. სემიტური დამწერლობის ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობები                                  | 46 |
| 8. წერითი სისტემის გამოსატყულებისა და შინაარსის პლანი                                   | 49 |
| 9. ძველი სემიტური კონსონანტური დამწერლობის წარმოშობის პრობლემა                          | 50 |
| 10. ძველი სემიტური დამწერლობა როგორც წერის კონსონანტურ-სილაბური სისტემა                 | 58 |
| 11. ხმოვნის გამოხატვა სემიტურ დამწერლობაში  | 64 |

### თ ა ვ ი II. ბერძნული ანბანური დამწერლობა

|  |    |
|--|----|
| 1. ბერძნული დამწერლობა და მისი მნიშვნელობა                                       | 67 |
| 2. ხმოვან ბგერათა გამომხატველი ნიშნები ბერძნულში                                 | 70 |
| 3. არქაული ბერძნულის თანხმოვანთა სისტემა და ხშულ თანხმოვანთა გრაფიკული გამოხატვა | 75 |

|  |     |
|--|-----|
| 4. სიბილანტური სპირანტების გამომხატველი ნიშნები სემიტურსა და ბერძნულში                                     | 78  |
| 5. ბერძნული ანბანის დამატებითი ნიშნები და მათი წარმომავლობა  | 80  |
| 6. ბერძნული დამწერლობის სამი სახეობა   | 82  |
| 7. ბერძნული ანბანის უნიფიცირება იონიური დამწერლობის საფუძველზე და კლასიკური ბერძნული სისტემის ჩამოყალიბება | 86  |
| 8. ბერძნული ანბანის რიცხვ-ნიშანთა სისტემა  | 89  |
| 9. ბერძნული დამწერლობისაგან წარმომდგარი წერითი სისტემები   | 92  |
| 10. ბერძნული წერითი სისტემისაგან წარმომდგარი ქრისტიანული ეპოქის დამწერლობანი                               | 97  |
| კობტური დამწერლობა   | 97  |
| გოთური დამწერლობა  | 100 |
| ძველი სომხური დამწერლობა   | 104 |
| ძველი სლავური დამწერლობა   | 112 |

### თ ა 3 0 III. ქართული ასომთავრული დამწერლობა

|   |     |
|---|-----|
| 1. ანბანურ დამწერლობათა შექმნის ტიპოლოგია   | 118 |
| 2. არქაული ქართულის ფონემური (ბგერითი) შედგენილობა  | 125 |
| 3. ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შესაძლებელი წერითი პროტოტიპები   | 129 |
| 4. ასომთავრული ანბანის პარადიგმატიკა ბერძნულ და სემიტურ სისტემებთან შეფარდებით  | 134 |
| 5. ძველი ქართული ასომთავრული ანბანის რიცხვ-ნიშანთა სისტემა  | 149 |
| 6. ქართული ანბანის „დანართი“ ნაწილი ბერძნული სისტემის თვალსაზრისით  | 150 |
| 7. ქართული ანბანის ასო-ნიშანთა სახელები   | 157 |
| 8. ასომთავრული დამწერლობის სიმბოლოთა გრაფიკული ანალიზი  | 159 |
| 9. ასომთავრული დამწერლობის გრაფიკულ სიმბოლოთა წარმომავლობა  | 169 |
| 10. ქართული ასომთავრული ანბანი როგორც ბერძნული დამწერლობის გრაფიკული სტილიზაციის შედეგად შექმნილი ახალი ეროვნული დამწერლობა | 181 |

|   |     |
|---|-----|
| 11. ქართული ასომთავრული დამწერლობა შედარებით კობ-<br>ტურთან, ვოთურთან, სომხურთან და სლავურთან | 187 |
| 12. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნელის<br>ვინაობა                                | 194 |
| 13. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნის<br>თარიღი                                   | 196 |
| 14. „მწიგნობრობა ქართული“ და ქართული „ალოგლოტოგრა-<br>ფია“                                    | 198 |
| 15. „ასომთავრული“, „ნუსხა-ხუცური“, „მხედრული“   | 202 |
| პილოტიჟა  | 206 |

### Глава первая. СТАРОСЕМИТСКАЯ КОНСО- НАНТНО-СИЛЛАБИЧЕСКАЯ ПИСЬМЕННОСТЬ

|   |     |
|---|-----|
| 1. Происхождение алфавитных письменных си-<br>стем христианской эпохи как частная пробле-<br>ма общей типологии развития письма   | 209 |
| 2. Письменность как семиотическая система и<br>общая теория письма («грамматология»)-<br>«План содержания» и «план выражения» пись-<br>менной системы. «Парадигматика» и<br>«синтагматика» письма | 210 |
| 3. Типология старосемитской системы письма  | 216 |

### Глава вторая. ДРЕВНЕГРЕЧЕСКАЯ АЛФА- ВИТНАЯ ПИСЬМЕННОСТЬ

|   |     |
|---|-----|
| 1. Преобразование в греческом старосемитской<br>консонантно-силлабической системы и пере-<br>ход на алфавитную систему письма | 223 |
| 2. Парадигматика письма и система числовых<br>значений  | 233 |

### Глава третья. ПИСЬМЕННОСТИ ХРИСТИ- АНСКОЙ ЭПОХИ, БЕРУЩИЕ НАЧАЛО ОТ ГРЕЧЕСКОЙ ПИСЬМЕННОЙ СИСТЕМЫ

|   |     |
|---|-----|
| 1. Коптская письменность                    | 238 |
| 2. Готская письменность                     | 242 |
| 3. Древнеармянская письменность «Еркатагир» | 245 |
| 4. Старославянская письменность             | 252 |

## Глава четвертая. ДРЕВНЕГРУЗИНСКАЯ ПИСЬМЕННОСТЬ «АСОМТАВРУЛИ»

1. Типология создания древних алфавитных систем письма 258
2. Проблема письменного прототипа древнегрузинского письма «Асомтаврули». Греческая основа древнегрузинского алфавита 263
3. Парадигматика алфавитной письменности «Асомтаврули» в соотношении с греческой и семитской системами 269
4. «Дополнительная» часть древнегрузинского алфавита 282
5. Наименования букв древнегрузинского алфавита 287
6. Графический анализ древнегрузинского капитального письма «Асомтаврули» 289
7. Древнегрузинская письменность «Асомтаврули» в типологическом сопоставлении с коптской, готской, древнеармянской и старославянской системами письма 294

### ბიბლიოგრაფია და სპიობლეხი

### БИБЛИОГРАФИЯ И УКАЗАТЕЛИ

#### დამოწმებული ლიტერატურა

#### Цитированная литература

#### სპიობლეხი

#### Указатели

309

325

## წინასიტყვაობა

ქართველებს ორნაირი წერა გვაქვს: ერთი ძველი, მეორე ახალი. ისინი იმდენად განსხვავდებიან ერთურთისაგან, რომ კაცს ეგონება, ეს ორი სხვადასხვა ერის წერა არისო. მაგრამ უტყუარი ფაქტია, რომ ახალი ქართული წერა ძველი ქართული წერის განვითარების შედეგად არის მიღებული.

პირველად შეიქმნა ის ძველი ანბანი, რომელიც ასომთავრულის სახელით არის ცნობილი. მისი ასოების ნახევარზე მეტს მრგვალი ან მომრგვალო ნაწილები აქვთ, და ამის გამო მას მრგლოვანი დაერქვა.

ამ ასოებით არის შესრულებული უძველესი ქართული წარწერები: ბოლნისისა, მცხეთის ჯვრისა, ურბნისისა, პალესტინის ქართული მონასტრისა (ბეთლემს ახლოს) და სხვა. ამავე ასოებით არის დაწერილი უძველესი ქართული ხელნაწერები, რომლებიც პალიმფსესტების სახით არის მოღწეული და ეგრეთწოდებულ ხანმეტ ტექსტებს შეიცავენ. ისინი ინახება როგორც თბილისში, ისე საზღვარგარეთ: ოქსფორდ-კემბრიჯსა და ვენაში.

თბილისში დაცული პალიმფსესტების პირვანდელი ტექსტები ამოიკითხა და დაბეჭდა ი. ჯავახიშვილმა, რითაც საფუძველი დაუდო უძველესი სალიტერატურო ქართულის ძეგლთა შესწავლის საქმეს. ეს ტექსტები წარმოადგენს ნაწყვეტებს სახარებიდან, აგრეთვე აპოკრიფებიდან<sup>1</sup>. შემდეგ მეც დავბეჭდე აქაურ პალიმფსესტურ ხელნაწერში ამოკითხული ხანმეტი მრავალთავის ნაწყვეტები<sup>2</sup>. მევე გამოვეცი ხანმეტი ლექციონარი, რომელიც სინურია წარმოშობით. იგი ერთ დროს კ. შუხარდტის ნაქონებია და, მისი ანდერძის თანახმად, ამჟამად გრაცის უნივერსიტეტშია დაცული (ავსტრიაში). ეს ერთადერთი ხელ-

1 ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (წინასწარი მოხსენება ნიძუშების დართვით): ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922—1923 (გადაბეჭდილია იმავე ავტორის „ქართულ დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“-ში, მეორე გამოც. 1949, 274—366).

2 ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927, 98—159.

ნაწერია, რომელიც ხანმეტ ტექსტს შეიცავს (ნაწყვეტებს სახარებიდან) და არ არის პალიმფსესტი<sup>3</sup>.

ოქსფორდისა და კემბრიჯის პალიმფსესტური ფურცლების პირვანდელი ნაწერი შეიცავს იერემიას წინასწარმეტყველების ხანმეტ ნაწყვეტებს. ეს ფურცლები ნაპოვნია წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში კაიროს ებრაელთა სალოცავის საგანძურში და უთუოდ იერუსალიმური წარმოშობისაა. ოქსფორდის ფურცლის ხანმეტი ტექსტი გამოსცა ი. ჯავახიშვილმა<sup>4</sup>, ხოლო კემბრიჯული ფურცლებისა — მე<sup>5</sup>.

ვენის ხელნაწერი, ალბათ სინური წარმოშობისა, შეიცავს, სხვათა შორის, იაკობის პირველსახარების ხანმეტ ნაწყვეტებს და აგრეთვე ნაწყვეტებს ოთხთავიდან. ეს ნაწყვეტები ამოიკითხა და გამოსცა ბირმინგემელმა მეცნიერმა ჯ. ნ. ბერძლომა<sup>6</sup>.

ხანმეტობა უტყუარი ენობრივი ნიშანია, რომელიც ახასიათებს უძველესი სალიტერატურო ქართულის ძეგლებს, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ წარწერებისა და ხელნაწერების სახით. ასოები, რომლებიც ამოკვეთილია ქვაზე ან რომლებითაც დაწერილია ძველი ხანმეტი ხელნაწერი, არის მრგოლოვანი ანუ ასომთავრული.

თავდაპირველად ასოები ერთი ზომისა იყო სიმალლით — ყველა ორ პარალელურ ხაზს შორის თავსდებოდა, მაგრამ შემდეგ ზოგ მათგანს ჩამოუგრძელდა ვერტიკალური ხაზი. ეს ასოებია: **ჟ ჟ ჟ ჟ ჟ**. ამას გარდა, ასოები სწორად იდგნენ და ზოგ მათგანს უძველეს წარწერებში (ხანმეტობის ხანისაში) თავი შეკრული ჰქონდა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით გაეხსნათ: **ჟ ჟ ჟ ჟ**. საერთო შესახედაობის გამო უძველესი ძეგლების დაწერილობას **მრგვლოვანი** ანუ **მრგვლოვანი** დაერქვა.

<sup>3</sup> ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპური რეპროდუქცია: გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ (ძველი ქართული ენის ძეგლები, 1), 1944. ლექციონარის ტექსტი პირველად დაბეჭდეს 1929 წელს: ქართული ხელნაწერები გრაკში (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IX, 1929, 310—353).

<sup>4</sup> ხსენებულ ნაშრომში.

<sup>5</sup> ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები: ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, 1938, 29—42.

<sup>6</sup> J. Neville Birdsall, A second Georgian Recension of the Protoevangelium Jacobi: Le Muséon, 83, 1970, 49—72; Khanmeti Fragments of the Synoptic Gospels from the Ms. Vind. Georg. 2: Oriens Christianus, Bd. 55, 1971, 62—89.

მრგლოვნისაგან მე-9 საუკუნეში განვითარდა კუთხოვანი წერა, რომელშიც ოთხი სხვადასხვა სიმაღლის ასოთა ჯგუფი შემუშავდა. ორი ხაზის ნაცვლად რომ ოთხი პარალელური ხაზი გავავლოთ პორი-ზონტალურად და მათ შორის ახლად შემუშავებული ასოები ჩავწვი-როთ, ვნახავთ, რომ:

ა) ერთი ჯგუფის ასოები ორ შუა ხაზს შორის არის მოქცეული:  
 τ γ π η η — ეს არის შუა ასოები;

ბ) მეორე ჯგუფის ასოებს თავი ზემო ხაზზე ეწყება და ტანი შუა პარალელურ ხაზებში აქვს მოქცეული: ς ζ ρ ϱ და სხვ. ეს არის ზედა ასოები;

გ) მესამე ჯგუფის ასოებს თავი ორ შუა პარალელურ ხაზს შორის აქვს გაკეთებული და ბოლოები ძირამდე ეშვება: ყ ვ ყ რ და სხვ. ეს არის ქვედა ასოები;

დ) მეოთხე ჯგუფის ასოებს მთელი სიმაღლე უჭირავთ, პირველი ხაზიდან მეოთხემდე: Ⴁ Ⴃ Ⴄ. ეს არის მაღალი ასოები.

ორ შუა პარალელს შორის მოქცეული კუთხოვანი დაწერილობის ასოები (ან ასოთა ნაწილები) დახრილია მარცხნიდან მარჯვნივ და ხა-ზების გადაკვეთის ადგილას კუთხეები კეთდება. ამ ასოებს შესახედა-ობა კურსივისა აქვთ და კუთხეების გამო კუთხოვანს ვეძახით, ძველად კი უფრო ნუსხურს ეძახდნენ. მრგლოვანი და კუთხოვანი (ნუსხური) — ორივე ძველი ქართული ძეგლების ასოებია: მრგლოვანი პირვანდელია, კუთხოვანი — მერმინდელი. კუთხოვნით დაწერილ ძეგლებში მრგლო-ვანიც იხმარება, მაგრამ სათაურებში და ინიციალებად. ხელნაწერთა უმეტესობა, რომლებიც მე-10—მე-11 საუკუნეს განეკუთვნება, კუთხო-ვანი ასოებით არის დაწერილი. პირველად ასეთი ასოები გვხვდება ანდერძში, რომელიც ახლავს უძველეს ქართულ თარიღიან ხელნა-წერს — 864 წ. გადაწერილ სინურ მრავალთავს. ეს წიგნი თავიდან ბოლომდის მრგლოვნით არის დაწერილი, მაგრამ მისი ანდერძის ნა-წილი, რომელიც ხელნაწერის ბოლოს არის მოთავსებული, კუთხოვანი ასოებით არის შესრულებული.

კუთხოვანი წერისაგან მე-11 საუკუნეში წარმოიშვა ახალი სახის ასოები, რომელთაც გადმოჰყვა ოთხ ჯგუფად დაყოფის საფუძველი, თანაც კუთხოვანი ასოების კუთხიანი ნაწილები დამრგვალდა და ასო-ები საერთოდ გასწორდა. ძველი წერა (მრგლოვანი და კუთხოვანი) ეკლესიას დარჩა სახმარებლად, ხოლო საერო საქმეებისათვის იყენებ-

დნენ ახალს, რომელსაც **მხედრული** დაერქვა. პირველ ხანებში მხედრულის ასოები კიდევ რამდენადმე ჰგევანდნენ კუთხოვნისას, მაგრამ თანდათან შორდებოდნენ მათ, ასე რომ მე-13 საუკუნეში მხედრული წერა საბოლოოდ დასცილდა მას.

მხედრულის განვითარებისა და განმტკიცების შემდეგ ძველ წერას (მრგლოვანს, ნუსხურს) დაერქვა **ხუცური**, რადგან მას ხუცები იყენებდნენ ეკლესიის საჭიროებისათვის, ხოლო ცალკე მრგლოვანს **ასომთავრულის** სახელით აღნიშნავდნენ.

მრგლოვანი წერა არ შეწყვეტილა მე-9 საუკუნეში, როცა მისგან წარმოიშვა კუთხოვანი (ნუსხური), და არც ეს უკანასკნელი გადავარდნილა მე-11 საუკუნეში, როცა მისგან განვითარდა წერის ახალი სახე — მხედრული. სხვადასხვა სახის ქართული ასოები შემდეგაც იხმარებოდა, მაგრამ ისე, რომ საეკლესიო წიგნებს წერდნენ ძველი ასოებით (მრგლოვნით ან მისგან წარმომდგარი კუთხოვნით, რომელშიც მრგლოვანიც იყო გარეული), ხოლო მეფეთა ბრძანებანი, სასამართლოს დადგენილებანი და საერო ხასიათის სხვა დოკუმენტები თუ წიგნები (პოემები, მოთხრობები და სხვა) იწერებოდა მხედრულად. მე-9 — მე-10 საუკუნის სახარებანი, საქმე მოციქულთა, პავლეს ეპისტოლეები, დავითნი, ლექციონარები და მრავალთავები მრგლოვანი ხელით არის ნაწერი. „მამათა სწავლანი“ (დაწერილია 943 წლამდის), იოანე ოქროპირის ცხოვრება (968 წ.), ოშკის ანუ ათონის ბიბლია (978 წ.), იერუსალიმური წინასწარმეტყველები (მე-11 ს.), იერუსალიმური ლექციონარი (მე-10 — მე-11 ს.) და ბევრი სხვა კუთხოვანი ასოებით (ნუსხა-ხუცურით) არის დაწერილი. მე-10 საუკუნის შატბერდის კრებულის ერთი ნაწილი მრგლოვნით არის დაწერილი, მეორე ნაწილი კი — კუთხოვნით (ნუსხა-ხუცურით). ასეთივე ვითარებაა აგრეთვე 1050 წ. გადაწერილს მარტვილის სახარებაში. შემდეგ და შემდეგ ნუსხა-ხუცურმა თანდათანობით გაიკაფა გზა: თითქმის ყოველგვარი საეკლესიო წიგნი, მათ შორის ახლისა და ძველი აღთქმის წიგნებიც, ნუსხა-ხუცურით იწერებოდა<sup>7</sup>, რომელიც უფრო ეკონომიური იყო. ასომთავრული საყოველთაოდ იხმარებოდა მხოლოდ წარწერებში მე-18 საუკუნემდის.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ ქართული ანბანის ასოებს თავისი განვითარების გზაზე დიდი ცვლილება განუცდიათ, იმდენად დიდი, რომ დღევანდელი ქართული წერა სრულებით არ ჰგავს იმას, რომ-

7 ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976 (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 18), გვ. 9—11.



ლისგანაც იგი წარმოიშვა<sup>8</sup>. ზოგი ასო მეტად იცვალა, ზოგი ნაკლებად. ერთადერთი ასო, რომელიც ბეჭდურ ნაწარმოებში დღესაც ისე გამოიყურება, როგორც იგი გამოჰყავდათ მე-5 საუკუნეში ქვაზე თუ ეტრატზე, არის ს.

რაკი ქართული ანბანი თავდაპირველად იმ სახით შეიქმნა, როგორც ეს უძველეს წარწერებსა და უძველეს ხელნაწერებშია წარმოდგენილი, რომელთა ასოები მრგლოვნის ანუ ასომთავრულის სახელით არის ცნობილი, ამიტომ ცხადია, როცა ქართული ანბანის წარმოშობაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში უნდა გვექონდეს მხოლოდ ეს ძველი ქართული წერა, მრგლოვანი ასოებით ანუ ასომთავრულით შესრულებული. სწორედ ამ საკითხისადრე მიძღვნილი თამაზ გამყრელიძის აქ წარმოდგენილი მონოგრაფია, სადაც საკითხი განხილულია სემიტური წერისა და ბერძნული ანბანის განვითარების ფონზე. შესაძარებლად მოხმობილია ბერძნულისაგან დამოკიდებული სხვა შრიფტები (კობტური, გოთური, სლაუური, სომხური), დაწვრილებით არის განხილული ქართული ანბანი და მიღებულია დასკვნა, რომ ქართული ანბანი, რომელიც დამოუკიდებელი ეროვნული ანბანია, დალაგებულია ბერძნული ანბანის მიხედვით და უეჭველად ატარებს მის გავლენას. ავტორის აზრით, ქართული ანბანის შექმნის დრო არის ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების ხანა საქართველოში. ქართული ანბანი შეიქმნა, რომ თარგმნილიყო ახალი სარწმუნოებისათვის საჭირო წიგნები.

მართლაც, მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში და მის მიდამოებში აღმოჩენილია ბერძნული და არამეული წარწერები, რომლებიც ქრისტიანობის წინა ხანას განეკუთვნებიან, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს ქართული წარწერები იმავე ხანისა. რამდენადმე ესეც მხარს უჭერს იმ დებულებას, რომ ქართული მწერლობა ქრისტიანობის ხანაში არის შექმნილი და მისი საჭიროებისათვის.

ქართული ანბანი რომ ბერძნულის კვალობაზე არის შექმნილი, ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება:

ა) ქართული წერა მარცხნიდან მარჯვნივ მიიმართება, როგორც ბერძნულში, და არა მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც ეს არის სემიტურ ენათა წერაში.

<sup>8</sup> მხედრული ასოების განვითარება პირველად დ. ბაქრაძემ წარმოადგინა ტაბულაზე: *Д. З. Бакрадзе, Грузинская палеография (Труды V археологического съезда в Тифлисе. М., 1887)* და შემდეგ ი. ჭავჭავაძის მიერ „ქართული პალეოგრაფიის“ ბოლოს დართულ ტაბულაზე.

ბ) ქართული ანბანი შეიცავს როგორც თანხმოვნებს, ისე ხმოვნებს, როგორც ეს არის ბერძნულში, წინააღმდეგ სემიტური ანბანისა, რომელმაც მხოლოდ თანხმოვნები იცის.

გ) ქართულ ანბანში შეყვანილია ორი ხმოვანი, **ჩ** და **ც**, რომელთაგანაც პირველი მე-მ ადგილას ზის, მეორე კი — სულ ბოლოს. მათი უქონლობა არას დააკლებდა ძველ ქართულ მწერლობას, მაგრამ საქმე ის არის, რომ ისინი შექმნილია ბერძნული ანბანის **Η** და **Ω** ასოთა მიხედვით, რომლებიც გრძელ **η**-სა და გრძელ **ω**-ს გადმოსცემენ შესაბამისად. გრძელი ხმოვნები ქართულ ენას არ გააჩნდა მწერლობის შექმნის ხანაში და არც ახლა გააჩნია, მაგრამ რაკი ბერძნულ ანბანში ისხდა ასოები **Η** და **Ω**, ქართულშიც შეიქმნა მათი შესატყვისი ნიშნები.

დ) ქართულში იყო და არის ხმოვანი **უ**, მაგრამ მისი გამომხატველი ნიშანი არ შეუქმნიათ. ეს გამონაკლისი იმის გამო არის, რომ იმდროინდელ ბერძნულში ხმოვანი **უ** ორი ნიშნით გადმოიცემოდა (**ΟΥ**). ამის მიხედვით **უ** ბგერისთვის ქართულშიც ბერძნულის შესატყვისი ორი ნიშანი იქნა გამოყენებული — **OU**, რომლებიც თავისი შედგენილობითა და თვითეული ასოს მნიშვნელობით ზედმიწევნით შეესატყვისება ბერძნულ **ΟΥ**-ს.

ე) ბერძნულ ანბანს ალფა იწყებს (**A**) და ომეგა ამთავრებს (**Ω**). ამგვარადვეა ქართულშიც: პირველი ასოა ანი (**ა**), უკანასკნელი ოპი (**ჲ**).

ვ) ანბანის ასოებს, ბგერითი მნიშვნელობის გარდა, რიცხვითი მნიშვნელობაც აქვთ. ამისთვის უაღრესი მნიშვნელობისაა ასოთა რიგი ანბანში, რადგანაც ასოებს რიცხვითი მნიშვნელობა მოპოვებული აქვთ იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უკავიათ მათ ანბანში. ბერძნული ანბანის ასოები დაწყობილია გარკვეული თანამიმდევრობით, რომელიც განსხვავებულია სემიტური ანბანის რიგისაგან. რომ არ დარღვეულიყო ეს ბერძნული რიგი, ქართულ ანბანში ბერძნული სპეციფიკური ნიშნების ადგილას ორი ნიშანი ჩაუსვამთ: ნარის შემდეგ **3** (ბერძნ. **Ξ** ნიშნის ნაცვლად) და ჰარის შემდეგ **4** (ბერძნ. **Υ** ნიშნის ნაცვლად). ამის წყალობით ბერძნულისა და ქართულის ერთნაირი ბგერების მქონე ასოების რიცხვითი მნიშვნელობა სავსებით დაემთხვა ერთმანეთს ორსავე ანბანში; მაგ., ბერძნული **P Σ T Y Φ X** და მათი ქართული

შესატყვისები **ⲁ Ⲛ Ⲟ ⲛ ⲉ ⲛ** აღნიშნავენ სათანადოდ 100-ს, 200-ს, 300-ს, 400-ს, 500-ს, 600-ს.

ზ) ბერძნულ ენის ბგერითი შედგენილობისაგან განსხვავებით, ქართულს მოეპოვება, **ⲛ** -სა და **Ⲛ**-ს გარდა, თორმეტი სპეციფიკური თანხმოვანი. ამათი გამომხატველი ნიშნები მოთავსდა ანბანის ასოების ბოლოს ქანსა და ოჰს შორის: **ⲛⲏ ⲛⲉ ⲛⲓ ⲛⲏ ⲛⲓ ⲛⲏ ⲛⲓ ⲛⲏ ⲛⲓ ⲛⲏ ⲛⲓ ⲛⲏ ⲛⲓ**. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ანბანის შექმნისას სახელმძღვანელოდ ბერძნული ანბანია აღებული და სწორედ ეს აზრია გატარებული თ. გამყრელიძის ნაშრომში.

თვალსაზრისი ქართული ანბანის ბერძნულისაგან წარმომავლობის შესახებ გამოთქმული ჰქონდათ ჯერ კიდევ ვ. გარდთაუზენს, ლ. ბაქრაძეს, კ. კეკელიძესა და სხვებს\*. მეც ამ აზრისა ვიყავი. მაგრამ ეს შეხედულება არ დამკვიდრდა მეცნიერებაში, ალბათ იმიტომ, რომ მას დაუპირისპირდა ი. ჯაფახიშვილის თვალსაზრისი ქართული დაწერილობის სემიტურისაგან მომდინარეობის შესახებ, რაც ვრცლად არის გადმოცემული მის „ქართულ პალეოგრაფიაში“.

ძველი ქართული წერა რომ ბერძნულის გაელენით შეიქმნა, პირველად თ. გამყრელიძის წინამდებარე გამოკვლევაშია დასაბუთებული ვრცლად და სისტემებრ. ამასთანავე ერთად ავტორი ადგენს ძველი ქართული დაწერილობის ტიპოლოგიურ ადგილს სხვა ანბანურ დაწერილობათა შორის.

თ. გამყრელიძის მიერ წარმოდგენილი ძირითადი დებულებანი მისაღებია და გასაზიარებელი. დღეს, როდესაც სხვადასხვა „თეორიებს“ თხზავენ ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, თ. გამყრელიძის გამოკვლევა, სათანადო მეცნიერულ მეთოდზე დამყარებული და ფართო შედარებით-ტიპოლოგიური მასალით განმტკიცებული, განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და მეცნიერულ ღირებულებას იძენს.

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ ბევრი დაწერილა და კვლავაც დაიწერება. ზოგი რამის გამოკვლევა მომავლის საქმეა. ამჟამად კი თ. გამყრელიძის კვლევა-ძიების ნაყოფი მნიშვნელოვანი მონაპოვარია და იგი გარკვეულ ეტაპს წარმოადგენს ქართული ანბანის წარმოშობის კვლევის საქმეში.

\* V. Gardthausen, Griechische Palaeographie, Lpz., 1879, გვ. 109; ლ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889, გვ. 82 და შმდ.; კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული („მნათობი“, 1929, № 5—6, 7).

წინამდებარე ნარკვევში ძველი ქართული დაწერილობის შედგენილობისა და წარმომავლობის უშუალო განხილვას (თავი III) წინ უსწრებს სემიტიურ დაწერილობათა (თავი I) და ბერძნული ანბანისა და მასზე დამყარებულ წერილობით სისტემათა შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი (თავი II). ამით შესაძლებელი ხდება ქართული მრგლოვანი დაწერილობისა და მასთან საერთო ტიპოლოგიურ ჯგუფში შემავალ სხვა ანბანურ დაწერილობათა ადგილის დადგენა უძველეს წერილობით სისტემათა შორის, რაც აუცილებელი წინაპირობაა დაწერილობის წარმომავლობის გარკვევისათვის. ყოველივე ეს განსაზღვრავს აუცილებლობას მკითხველისათვის უშუალოდ ძველი ქართული დაწერილობისადმი მიძღვნილი ნაწილის წაკითხვამდე (თავი III) გაეცნოს თანმიმდევრულად წინა თავებში მოცემულ სხვადასხვა ტიპის წერილობით სისტემათა სტრუქტურისა და წარმომავლობა-განვითარების ანალიზს.

წ. შანიძე

თბილისი, ივნისი 1976 წ.